აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ქუთაისი
2016

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია 3
2. დანართი №1 რეკვიზიტები 4
3. დანართი №2 ფასების ცხრილი 5
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 6

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტი: უნივერსიტეტის XV კორპუსის ფანჯრის დეკორატიული გისოსების დამზადება- მონტაჟი.

2. **CPV** კოდი 45400000

დაფინანსების წყარო: საკუთარი სახსრები.

აუცილებელი პირობები:

3.

ა) სამუშაოს შესრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.

ბ) მიწოდება-მონტაჟის ადგილი: ქ.ქუთაისის ახალგაზრდობის გამზ.№98

გ) სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე.

დ) შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, ასევე ტრანსპორტირების და სხვა ხარჯებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

ე) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

ვ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-2^1 პუნქტის საფუძველზე თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, წარმოდგენილი უნდა იქნეს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება ექსპერტიზის დასკვნა, ასევე პრეტენდენტის მიერ ანალოგიური საქონლის ნასყიდობასთნ დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულება, სასაქონლო ზედნადები ან ინვოისი, რითაც დადასტურდება დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა. ზემოაღ-ნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი (ატვირთული) უნდა იყოს წერილობითი მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

ზ) გიოსების ზომები --იხ.დანართი 3-ში.

თ) შემსრულებელი ვალდებულია დამზადებამდე თავად გაზომოს ფანჯრები და საჭიროების შემთხვევაში კანონის შესაბამისად შეიტანოს ცვლილებები და ასახოს შესრულების აქტში.

ი) გისოსის ნახაზი და დიზაინი მოცემულია დანართი 4-ში.

კ) პრეტედენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიურ ნაკეთობათა დამზადების გამოცდილება ბოლო 1 წლის განმავლობაში მინიმუმ სატენდერო თანხის ოდენობის.

4 .

<u>ა) პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგიდოკუმენტები და ინფორმაციები:</u>

ბ) ინფორმაცია კომპანიის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიულ მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი(დანართი №1).

გ) ფასების ცხრილი სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ფასების ცხრილის მიხედვით (დანართი №2).

დ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას 1-4 მუხლის ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

ე) ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება- ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში;

ვ) სამუშაოს შესრულება განხორციელდება ტექნიკურ დავალებაში – აუცილებელი პირობების „3-4" მუხლებით მოცემული პირობებით

ზ) ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ან/და სხვა დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პრეტენდენტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას .

თ) გისოსები დამზადებული უნდა იქნას შემსყიდველის მიერ მოცემული ნახაზის და ფორმის მიხედვით.

ი) გისოსები შეღებილი უნდა იქნას მაღალი ხარისხის საღებავისგან. საღებავის ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით.

კ) პრეტედენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას გამოცდილების ნუსხა და თანხის მოცულობის დამადასტურეელი შესაბამისი დიკუმენტაცია (მიღება ჩაბარების აქტები)

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისგან

საგეგმო და შესყიდვების უფროსი
ბადრი კახიანი
ტელ: 599 325 391

დანართი 1

1. რეკვიზიტები: პრედენდენტის
დასახელება: ხელმძღვანელის
სახელი და გვარი: პრეტენდენტის
მისამართი: საიდენტიფიკაციო
კოდი: პრეტენდენტის ტელეფონის
ნომერი: ელექტრონული მისამართი:
ბანკის დასახელება:
ბანკის კოდი:
ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებულ
სატენდერო წინადადების ფასი:
3. ანგარიშსწორების პირობები:

ფასების ცხრილი

იხილეთ დანართი 2

პრეტედენტი:----------

დანართი 3

№	სიგრძე	სიგანე	ფართი ..(კვ.მ.)		№	სიგრძე. (მ)	სიგანე. (მ)	ფართი ..(კვ.მ.)
1	1,77	1,77	3,1329		**34**	1,49	1,81	2,6969
2	1,79	1,79	3,2041		**35**	1,49	1,81	2,6969
3	1,79	1,79	3,2041		**36**	1,49	1,81	2,6969
4	1,77	1,79	3,1683		**37**	1,49	1,81	2,6969
5	1,75	1,8	3,15		**38**	1,49	1,81	2,6969
6	1,75	1,79	3,1325		**39**	0,52	0,75	0,3900
7	1,77	1,78	3,1506		**40**	0,52	0,75	0,3900
8	1,78	1,79	3,1862		**41**	0,52	0,75	0,3900
9	1,8	1,67	3,006		**42**	0,52	0,75	0,3900
10	1,8	1,66	2,988		**43**	0,52	0,75	0,3900
11	1,8	1,69	3,042		**44**	0,52	0,75	0,3900
12	1,8	1,68	3,024		**45**	0,52	0,75	0,3900
13	1,78	1,49	2,6522		**46**	0,52	0,75	0,3900
14	1,72	1,15	1,978		**47**	0,52	0,75	0,3900
15	1,72	1,15	1,978		**48**	0,47	0,75	0,3525
16	1,52	1,81	2,7512		**49**	0,49	0,75	0,3675
17	1,52	1,81	2,7512		**50**	0,59	0,75	0,4425
18	1,52	1,81	2,7512		**51**	0,49	0,74	0,3626
19	1,52	1,81	2,7512		**52**	0,49	0,74	0,3626
20	1,52	1,81	2,7512		**53**	0,49	0,71	0,3479
21	1,52	1,81	2,7512		**54**	0,49	0,71	0,3479
22	1,52	1,81	2,7512		**55**	0,49	0,71	0,3479
23	1,52	1,79	2,7208		**56**	0,52	0,74	0,3848
24	1,52	1,79	2,7208		**57**	0,52	0,74	0,3848
25	1,55	1,83	2,8365		**58**	0,49	0,72	0,3528
26	1,52	1,77	2,6904		**59**	0,49	0,72	0,3528
27	1,52	1,77	2,6904		**60**	0,52	0,72	0,3744
28	1,49	1,79	2,6671		**61**	1,51	0,87	1,3137
29	1,49	1,79	2,6671		**62**	1,51	1,77	2,6727
30	1,49	1,79	2,6671		**63**	1,76	1,71	3,0096
31	1,49	1,79	2,6671		**64**	1,75	1,71	2,9925
32	1,49	1,79	2,6671		**65**	1,5	0,92	1,3800
33	1,49	1,79	2,6671					**33**
			93					

სულ **126** **კვ.მ.**

პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ " 2016 წ.

<u>წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.</u>

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“დებულების საფუძველზე

შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ:

და მეორეს მხრივ

(შემდგომში „მიმწოდებელი“შორის

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. შესასრულებელი სამუშაოს საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს
ლარი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით
4.2. შესასრულებელი სამუშაოს ერთეულის ფასი შეადგენს
4.3. სამუშაო შესრულებული იქნება მისამართზე: ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი №98.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღეში განახორციელოს სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. იგი პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს

8. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

8.1მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო არ გამოავლენს ხარვეზებს და
შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გასწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში:
9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასრულებელი სამუშაოს ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი

დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების

შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა

წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების ღირებულების 1% ოდენობით.
15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გაადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირსაგამტეხლოს ანაზღაურება.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16,3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს

დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16,4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან
16,5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16,6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად სესრულებული სამუშაოს ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ----------. წელი

რიცხვი,თვე.წელი.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია: **მიმწოდებელი:**